ოქმი

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის სამთავრობო კომისიის სხდომის შედეგების შესახებ

თბილისი

27-28 მაისი, 2017 წ.

სხდომა დაიწყო 27 მაისს, 09:25 სთ-ზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის სამთავრობო კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი;
- საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე;
- საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე წარმომადგენელი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე მზია თოდუა;
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე წარმომადგენელი, საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ გაბინაშვილი;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე წარმომადგენელი, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დიმიტრი გვრიტიშვილი;
- საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენელი, თავმჯდომარე სოფიო კილაძე;
- საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი, თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი;
- „საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის“ („სიფა“) წარმომადგენელი, თავმჯდომარე ზვიად კორძაძე;
- სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული;
- კოალიციის – „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ – წარმომადგენელი, თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი.

კომისიის სამდივნოს წარმომადგენლები:

- სალომე ფრუიძე – იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- მარიამ სხილაძე – იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 09:25 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობა. კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კომისია, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 თებერვლის №93 დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) დამტკიცებული „2017 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის წესის" (შემდგომში – შერჩევის წესი) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

– გასაუბრებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების განსაზღვრა;

– უცხო ენის ტესტირებაში გამარჯვებულ (მინიმუმ B1 დონე) იმ 11 კანდიდატთან გასაუბრება, რომლებიც 27 მაისს იყვნენ დაბარებულნი, თითოეული მათგანისათვის მისაღები დროის შესაბამისად:

1. ადეიშვილი ირაკლი – 09:30 სთ;
2. კორკელია კონსტანტინე – 10:10 სთ;
3. ბაქაქური ნინო – 10:50 სთ;
4. ალექსიძე თამარ – 11:30 სთ;
5. ბოხაშვილი ბესარიონ – 12:10 სთ;
6. კემულარია რუსუდან – 12:50 სთ;
   13:30 – 14:30 – შესვენება
7. გელაძე ნატალია – 15:10 სთ;
8. ჯანდიერი დავით – 15:50 სთ;
9. დობორჯგინიძე ვერა – 16:30 სთ;
10. დონდოლაძე ირაკლი – 17:10 სთ;
11. ლეგაშვილი ნიკოლოზ – 17:50 სთ.

კომისიის თავმჯდომარემ შეახსენა წევრებს, რომ მე-12 კანდიდატმა – გიორგი პაპუაშვილმა, მოხსნა თავისი კანდიდატურა.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომები, წინა კონკურსის მსგავსად, ღიაა მედიისთვის, გარკვეული პროცედურული დათქმებით, რათა კომისიას მუშაობაში ხელი არ შეეშალოს და კანდიდატების პოზიციები იქნეს გათვალისწინებული. კერძოდ, დადგენილებით, მედიას აქვს საშუალება, სხდომის დასაწყისში გადაიღოს ვიდეოკადრები. თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ გამოთქვეს მედიის წარმომადგენლებმა შესაბამისი სურვილი, რაზეც სამდივნოს წარმომადგენლისაგან დადებითი პასუხი მიიღო. თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისასალმებელ სიტყვას და სხდომის დასაწყისს გააშუქებს

მედიის შესაბამისი აპარატურა, ამის შემდეგ კი აპარატურა უნდა იქნეს გატანილი სხდომის დარბაზიდან.

რაც შეეხება ჟურნალისტებს, თუკი წინასწარ რეგისტრირებული მედიის წარმომადგენელი მოისურვებს და კანდიდატი არ იქნება წინააღმდეგი, ასეთ წარმომადგენელს ექნება შესაძლებლობა, რომ დააკვირდეს გასაუბრების პროცესს. თავმჯდომარემ აცნობა კომისიის წევრებს, რომ სხდომის დაწყების მომენტისთვის დარეგისტრირებულია 6 ჟურნალისტი 4 მედიასაშუალებიდან: ტვ „იბერია", ტვ „იმედი", „ნეტგაზეთი" და „რუსთავი 2". ჟურნალისტები არიან: მარტა ქურასბედიანი, თამარ ტომარაძე, ნათია სონღულაშვილი, ლევან კვატაშიძე, ქეთევან მაჭავარიანი და ნატა მახვილაძე. ისინი გასაუბრებების დასრულებამდე, ზემოაღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში, შეძლებენ სხდომებზე დაკვირვებას; ის ჟურნალისტები კი, ვისაც რეგისტრაცია არ გაუვლია, რისთვისაც მათ ჰქონდათ 2 დღე, ვეღარ დაემატებიან ამ სიას. თითოეული კანდიდატისთვის მომზადებულია ინდივიდუალური ფორმულარი, სადაც დააფიქსირებს მის თანხმობას/უარს მედიის დასწრებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ თითოეული კანდიდატის შეფასება მოხდება დადგენილებით დამტკიცებულ ფორმულარში, ასევე, კომისიას გააცნო ერთ-ერთი კანდიდატის, იოსებ ბაჩიაშვილის, შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც, კანდიდატი ითხოვს, კომისიამ იმსჯელოს დადგენილებით დამტკიცებულ ფორმულარში მითითებული ერთ-ერთი შეფასების – 5+ ქულის („ზედმეტად კვალიფიციური"), გამოყენების მისაღებობასთან დაკავშირებით. კანდიდატის აზრით, ამ პოზიციისთვის აღნიშნული შეფასება არ არის რელევანტური, რადგან კომისია სწორედ სუპერკვალიფიციურ კანდიდატებს ეძებს. მისი შემოთავაზებაა, რომ „5+" ამოირიცხოს, ხოლო სხვა ქულები დარჩეს. ფორმულარის ბოლოს განმარტებულია თითოეული ქულის მნიშვნელობა. ამასთან, დადგენილების თანახმად, დაწერილი ქულა უნდა იყოს მთელი რიცხვი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 27 და 28 მაისს, გასაუბრებების დასრულების შემდეგ, დღის ბოლოს, კომისიის წევრები ჩააბარებენ მათ მიერ დაწერილ ქულებს სამდივნოს, რომელიც არითმეტიკული წესით გამოიყვანს საშუალო ჯამურ ქულას. თითოეულ წევრს ექნება საშუალება, სურვილის შემთხვევაში, დაესწროს ქულების შეჯამების პროცესს. აქვე აღინიშნა, რომ წინა კონკურსის შემთხვევაში წევრთა უმრავლესობა ესწრებოდა ქულების შეჯამების პროცესს, თუმცა, წევრთა ნაწილი წავიდა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ, შერჩევის წესის თანახმად, მინიჭებული ქულები კონფიდენციალურია, თუ თავად შემფასებელმა ან კანდიდატმა არ გაასაჯაროვა ისინი. საჯაროა მხოლოდ საშუალო ჯამური ქულა.

კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო კანდიდატ იოსებ ბაჩიაშვილის მეორე შუამდგომლობა კომისიის წევრების აცილების წესის განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ. კანდიდატის აზრით, კომისიის წევრისა და კანდიდატის ერთი ინსტიტუტისადმი/ორგანიზაციისადმი კუთვნილება ამ წევრის აცილების საფუძველი უნდა იყოს, რათა არ დაირღვეს მიუკერძოებლობის პრინციპი. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიამ აცილების წესზე უნდა იმსჯელოს, თუმცა, მისი მოსაზრებით, უბრალო ნაცნობობა ვერ იქნება აცილების საფუძველი; ასეთ შემთხვევაში კონკურსი ვერ უნდა ჩატარდეს, რადგან წარმოუდგენელია, ადვოკატურის წარმომადგენლები რომელიმე ადვოკატს არ იცნობდნენ, ან პროკურორის მოადგილე – პროკურორს, ან მოსამართლეები – ერთმანეთს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისის გადასაღებად დარბაზში შემოსული მედიის წარმომადგენლებისათვის გააკეთა განმარტება კონკურსთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ მედიის დარეგისტრირებული წარმომადგენლებიდან მოცემულ ეტაპზე ყველამ უარი განაცხადა დარბაზში შემოსვლაზე, გარდა „ნეტგაზეთის" წარმომადგენლის, ქალბატონი ქეთევან მაჭავარიანისა, რომელმაც გამოთქვა გასაუბრებებზე დასწრების სურვილი. დანარჩენმა ჟურნალისტებმა შენობის პირველ სართულზე არჩიეს ყოფნა, რათა შესაბამის ტელეარხებზე განეხორციელებინათ ჩართვები.

კომისიის წევრმა უჩა ნანუაშვილმა მოითხოვა ინფორმაციის მიწოდება თითოეული კანდიდატის მიერ სააპლიკატიო განაცხადის შემოტანის დროსთან დაკავშირებით, რაზეც თავმჯდომარემ სამდივნოს სთხოვა შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და გასაუბრებების დასრულების შემდეგ კომისიის წევრისათვის გადაცემა.

აპარატურის დარბაზიდან გატანის შემდეგ კომისიამ განაგრძო მსჯელობა შესაძლო აცილებებთან დაკავშირებით.

კომისიის წევრმა უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი კანდიდატი არის მისი თანამშრომელი, რის გამოც შესაძლებელია მისი მხრიდან ამ კანდიდატის შეფასება სუბიექტურად იქნეს აღქმული.

კომისიის წევრმა ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ, თუ ამ პრინციპის მიხედვით გამოცხადდება აცილებები, კომისია შეიძლება არაუფლებამოსილი გახდეს.

კომისიის წევრ ზვიად კორძაძის თქმით, აცილებისა თუ კომისიის რომელიმე წევრის გასაუბრებაზე დაუსწრებლობის საფუძვლით ნაკლები წევრების მიერ კანდიდატის შეფასების შემთხვევაში, საშუალო ჯამური ქულის არითმეტიკული წესით გამოყვანისას შესაძლებელია, მიღებული იყოს განსხვავებული რიცხვები, ვიდრე ეს იქნებოდა ყველა წევრის შეფასების შემთხვევაში, რაც კანდიდატთა მხრიდან შესაძლოა, აღქმულ იქნეს როგორც თანასწორობის პრინციპის დარღვევა.

კომისიის წევრი შალვა თადუმაძე დაეთანხმა ამ მოსაზრებებს და დაამატა, რომ, როდესაც კომისიის წევრი არ არის კანდიდატისადმი დაქვემდებარებულ სამსახურებრივ მდგომარეობაში, მისი მხრიდან შეფასების პრობლემა არ უნდა არსებობდეს. თუკი აცილების ასეთ მაღალ სტანდარტებს დავაწესებთ, რომ კომისიის წევრი უნდა იქნეს აცილებული ყველა მისი მოქმედი ან ყოფილი თანამშრომლის შეფასებისაგან, კომისიას ძალიან გაუჭირდება მუშაობა და გადაწყვეტილებების მიღება.

კომისიის წევრმა მამუკა ვასაძემ, ასევე, აღნიშნა, რომ, თუ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, გამოვა, რომ მან, როგორც პროკურატურის წარმომადგენელმა, თავი უნდა შეიკავოს პროკურატურაში მომუშავე და, ამავე დროს, კონკურსში მონაწილე ორი კანდიდატის შეფასებისაგან, რაც არასწორია; კომისიის წევრები გამოთქვამენ მხოლოდ მოსაზრებებს და არ იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას. 5 კანდიდატი წარედგინება მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ხოლო კომისიის წევრები მათ აფასებენ მათი შეხედულებით, იმ კრიტერიუმების მიხედვით, რაც გაწერილია დადგენილებაში.

კომისიის წევრმა მერაბ გაბინაშვილმა განაცხადა, რომ, თუკი კომისია ასეთ პოზიციას დაიჭერს და კომისიის მოსამართლე წევრები ვერ შეძლებენ სასამართლო ხელისუფლებიდან კონკურსში მონაწილე კანდიდატების – მოქმედი მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრების – შეფასებას, ამ ლოგიკით სასამართლოს კვოტის გაზრდას ამჟამინდელ კომისიაში აზრი დაეკარგება. კომისიის წევრის მოსაზრებით, არცერთმა წევრმა, თუკი თავად კანდიდატმა კატეგორიულად არ დააყენა აცილების საკითხი, არ უნდა განაცხადოს თვითაცილება და კანდიდატის მიერ მოთხოვნის დაყენების დროსაც კომისიამ უნდა იმსჯელოს, დაკმაყოფილდება თუ არა მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია მეტწილად ქმედუუნარო გახდება და შეფასების განსხვავებებსაც და შესაძლო დისკრიმინაციას ექნება ადგილი, იმის მიხედვით, რომელ კანდიდატს კომისიის რამდენი წევრი შეაფასებს.

კომისიის წევრმა ანა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ გამოთქმულ მოსაზრებებს ეთანხმება და თავად ისიც მიიჩნევს, რომ დაქვემდებარებული თანამშრომლის შეფასება არ გამოიწვევს მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევის განცდას. თუმცა თუკი კომისიის რომელიმე წევრი ჩათვლის, რომ გარეშე თვალით ძალიან უხერხულად გამოჩნდება ამა თუ იმ კანდიდატის მისი მხრიდან შეფასება, ის მაინც დააყენებს ამ საკითხს, ისევე როგორც წინა კონკურსის დროს ხდებოდა და ამ შემთხვევაში პირადად ის დაეთანხმება ამ შუამდგომლობას.

თავის მხრივ, ანა ნაცვლიშვილმა ორ კანდიდატთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი სურვილია, აცილებულ იქნეს მათი შეფასებებისაგან. ნაცვლიშვილის თქმით, ერთი კანდიდატი მისი დიდი ხნის კოლეგაა და წინა კონკურსის ფარგლებშიც მან მისი შეფასებისაგან თავი შეიკავა, მეორე კანდიდატი კი მისი ორგანიზაციის გამგეობის წევრია. ეს საკითხები კოალიციის ფარგლებში განხილულ იქნა და, მიუხედავად იმისა, რომ პირადად იგი მიიჩნევს, რომ მეორე კანდიდატის ობიექტურად შეფასებას ის შეძლებდა, მაინც მიზანშეწონილი შეიძლება იყოს, თავი შეიკავოს შეფასებისაგან.

კომისიის წევრმა სოფიო კილაძემ განაცხადა, რომ კომისიის თითოეულ წევრთან ზემოაღნიშნულის მსგავსი ფორმით შეხებაში ბევრი კანდიდატი შეიძლება იყოს, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და ყველა ერთმანეთთან არის დაკავშირებული გარკვეული სახის ნაცნობობით და ამან შეიძლება კომისიის მუშაობის ჩაშლის საფრთხე შექმნას. სოფიო კილაძემ აქვე დაამატა, რომ ის არ აყენებს ქალბატონი ანა ნაცვლიშვილისა და ბატონი უჩა ნანუაშვილის ობიექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ.

კომისიის წევრ შალვა თადუმაძის თქმით, საქართველის მთავრობის მიერ შეიქმნა პერსონიფიცირებული შესარჩევი კომისია, რა დროსაც, მისი მოსაზრებით, კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას მთავრობამ ისიც გაითვალისწინა, რომ კვალიფიციურ იურისტებს ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობები აკავშირებთ. კომისიის წევრებს ობიექტურობასთან ერთად ამჯერად მეორე შანსი აქვთ, რასაც უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან; სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს ღირსეული წარმომადგენლის წარდგენის ინტერესი უფრო მაღლა დგას, ვიდრე უბრალო ნაცნობობა, მეგობრობა ან კოლეგიალობა.

კომისიის წევრმა ზვიად კორძაძემ აღნიშნა, რომ ყველა წევრს, ვინც მიიჩნევს, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება წარმოიშვას მისი ობიქტურობის მიმართ ეჭვები, აქვს უფლება, ეს დააფიქსიროს და კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არსებობს თუ არა საფუძველი, რომ მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს; ამასთან, თუკი ბატონი უჩა ნანუაშვილისა და ქალბატონი ანა ნაცვლიშვილის მიერ შემოთავაზებულ ლოგიკას მივყვებით, პირადად მას მეტი საფუძველი აქვს, განაცხადოს აცილება მოქმედი მოსამართლე კანდიდატების შეფასებისაგან, რადგან მათთან სასამართლო პროცესებზე უწევს ყოველდღიური შეხება.

კომისიის წევრმა უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ მისი შუამდგომლობის დაყენების მიზანი იყო, რომ არ დარჩენილიყო მინიმალური შანსი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სუბიექტურად აღქმისა.

კომისიის თავმჯდომარემ დაამატა, რომ მასაც სურს საკითხის დაყენება ერთ-ერთი კანდიდატის შეფასებისაგან აცილების შესახებ, მათ შორის, სასამართლოში მიმდინარე დავის გამო. აქვე აღნიშნა, რომ წინა კონკურსის ფარგლებში მან იმავე კანდიდატის შეფასებისაგან თავი შეიკავა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წინაშე დააყენა საკითხი უჩა ნანუაშვილის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ. კომისიის არცერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი ერთ-ერთი კანდიდატის შეფასებისაგან უჩა ნანუაშვილის აცილებას.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წინაშე დააყენა საკითხი თავისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

კომისიის წევრებმა ანა ნაცვლიშვილმა, უჩა ნანუაშვილმა და სოფიო კილაძემ ხმა მისცეს კომისიის თავმჯდომარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. კომისიის დანარჩენმა 9 წევრმა არ დაუჭირა მხარი ერთ-ერთი კანდიდატის შეფასებისაგან თეა წულუკიანის აცილებას.

კომისიის წევრმა მზია თოდუამ აღნიშნა, რომ ერთი გამონაკლისის დაშვებაც კი გამოიწვევს კანდიდატების მიმართ არათანაბარ მოპყრობას, ამიტომ, მისი მოსაზრებით, არცერთი შუამდგომლობა აცილებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წინაშე დააყენა საკითხი ანა ნაცვლიშვილის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ. კომისიის არცერთმა წევრმა არ დაუჭირა მხარი ორი კანდიდატის შეფასებისაგან ანა ნაცვლიშვილის აცილებას.

კომისიის თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ, კომისიის გადაწყვეტილებით, ოთხივე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე კომისიამ უარი თქვა, შესაბამისად, ყველა წევრი შეაფასებს ყველა კანდიდატს.

კომისიის წევრები, აგრეთვე, შეთანხმდნენ შეფასება „5+"-ის გამოუყენებლობის შესახებ.

კომისიის წევრმა ანა ნაცვლიშვილმა კომისიას აცნობა, რომ 28 მაისს დილით დაგეგმილ გასაუბრებებზე ის ვერ შეძლებს დასწრებას ობიექტური მიზეზის – ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლის აუცილებლობის – გამო და კომისიას სთხოვა მსჯელობა ამ საკითხზე, იმ შემთხვევისათვის, თუკი ეს ფაქტი შექმნიდა შესაძლო უთანასწორო მდგომარეობას კანდიდატებს შორის.

კომისიის წევრმა სოფიო კილაძემ, ასევე, აღნიშნა, რომ, თუკი 27 მაისის გასაუბრებები გაგრძელდება დაგეგმილზე უფრო დიდი ხნის განმავლობაში, მასაც მოუწევს გასაუბრების დატოვება მისი კომიტეტის მიერ ორგანიზებულ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობის აუცილებლობის გამო.

კომისიამ იმსჯელა შესაძლო გამოსავალთან დაკავშირებით და, ზვიად კორძაძის წინადადების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ, რამდენადაც, მთავრობის დადგენილების მიხედვით, ანა ნაცვლიშვილი და სოფიო კილაძე არ არიან სახელობით განსაზღვრული კომისიის წევრებად, არამედ ისინი წარმოადგენენ, შესაბამისად, კოალიციას „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, შესაძლებელია, მათი დროებით ჩანაცვლება მოხდეს ამავე კოალიციისა და

კომიტეტის სხვა წარმომადგენლებით. ანა ნაცვლიშვილის თქმით, კოალიციის შემთხვევაში ეს იქნებოდა გიორგი ბურჯანაძე, ხოლო სოფიო კილაძის თქმით, კომიტეტის შემთხვევაში ეს იქნებოდა ანრი ოხანაშვილი.

კომისიის წევრმა ირაკლი ბურდულმა აღნიშნა, რომ, წინა კონკურსის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც სურს ორი შემოთავაზების დაყენება კომისიის წინაშე: კონკურსანტების თანაბარი მოპყრობის პრინციპის დასაცავად მათ დაესვათ ხარისხობრივი და სიმძიმის მიხედვით მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი კითხვები; კომისიის წევრებმა თავი აარიდონ პოლიტიკური კითხვების დასმას, პოლიტიკური წარსულისა თუ კუთვნილების შესახებ. ირაკლი ბურდულის აზრით, თუკი კომისია აფასებს კანდიდატებს საგნობრივად და მათ პროფესიულ დონეს, მათთვის წარსულის შესახებ კითხვების დასმა არ უნდა იყოს საინტერესო.

კომისიის წევრმა ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, რომ კომისიის წევრი კითხვებს სვამს თავისი შეხედულების მიხედვით და კომისია ვერ წაართმევს მას ამ უფლებას.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, დადგენილების მოთხოვნის გათვალისწინებით, კომისია კანდიდატებს აფასებს მათი მაღალი მორალური რეპუტაციის მიხედვითაც, რაც გულისხმობს წარსულის შეფასებასაც. ის, რომ თანაბარი წონის კითხვები დაესვათ კანდიდატებს, აბსოლუტურად მისაღებია, თუმცა, ინდივიდუალიზებული კითხვებიც ვერ გამოირიცხება, თითოეული კანდიდატის ბიოგრაფიიდან გამომდინარე.

კანდიდატ ირაკლი ადეიშვილთან გასაუბრება დაიწყო 10:03 სთ-ზე (დანართი აუდიოფაილი №1).

შემდეგ კანდიდატთან, კონსტანტინე კორკელიასთან, გასაუბრება დაიწყო 10:37 სთ-ზე (აუდიოფაილი №2).

კომისიის წინაშე მომდევნო კანდიდატად წარდგა ნინო ბაქაქური, რომელთან გასაუბრებაც დაიწყო 11:41 სთ-ზე (აუდიოფაილი №3).

განრიგის შესაბამისად, კომისიის წინაშე 13:04 სთ-ზე, 13:49 სთ-ზე და 14:23 სთ-ზე რიგრიგობით წარდგნენ თამარ ალექსიძე, ბესარიონ ბოხაშვილი და რუსუდან კემულარია (აუდიოფაილები №№4-6).

კანდიდატების თანხმობით, გასაუბრებებს ესწრებოდა „ნეტგაზეთის" წარმომადგენელი ქეთევან მაჭავარიანი.

კომისიის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 15:12 სთ-ზე და დასრულდა 15:44 სთ-ზე.

განრიგის შესაბამისად, გასაუბრებები გაგრძელდა კანდიდატებთან – ნატალია გელაძესთან (15:44 სთ-ზე), დავით ჯანდიერთან (16:25 სთ-ზე), ვერა დობორჯგინიძესთან (17:07 სთ-ზე), ირაკლი დონდოლაძესა (17:48 სთ-ზე) და ნიკოლოზ ლეგაშვილთან (18:32 სთ-ზე) (აუდიოფაილები №№7-11) და დასრულდა 18:56 სთ-ზე.

კანდიდატების გადაწყვეტილების შესაბამისად, მედიის წარმომადგენელი ესწრებოდა დავით ჯანდიერთან, ვერა დობორჯგინიძესა და ნიკოლოზ ლეგაშვილთან კომისიის გასაუბრებას.

ნიკოლოზ ლეგაშვილთან გასაუბრებას საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტიდან სოფიო კილაძის ნაცვლად ესწრებოდა ანრი ოხანაშვილი.

27 მაისისათვის დაგეგმილი გასაუბრებების დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ წევრებს შეახსენა დადგენილების მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, კომისიის წევრი კანდიდატს გასაუბრების დღესვე აფასებს, ხოლო სამდივნოს მიერ გასაუბრების დღესვე ხდება თითოეულ კანდიდატთან მიმართებით საშუალო ჯამური ქულის გამოყვანა.

კომისიის წევრმა ანა ნაცვლიშვილმა, კანდიდატების არა მხოლოდ დადგენილ კრიტერიუმებთან, არამედ ერთმანეთთანაც სრულყოფილად შედარებისა და შეფასებების სრული სურათის შესაბამისად გაკეთების მიზნით, კომისიას შესთავაზა წინადადება, ქულები დაეწერათ და სამდივნოსთვის ჩაებარებინათ არა იმავე დღეს, არამედ ორდღიანი გასაუბრებების პროცესის დასასრულ, 28 მაისს.

უჩა ნანუაშვილმა დაამატა, რომ ყველა კანდიდატთან გასაუბრების შედეგად სრული სურათის შექმნის შემთხვევაში გაცილებით მარტივია შეფასება, ამასთან, მართალია, დადგენილებაში მითითებულია სიტყვა „გასაუბრების დღესვე", თუმცა, არაფერია იმაზე ნათქვამი, რომ გასაუბრებები შეიძლება რამდენიმე დღეს გაგრძელდეს და აქ შეიძლება იგულისხმებოდეს გასაუბრებების დასრულებისთანავე შეფასება.

კომისიის წევრმა ზაზა ხატიაშვილმა დააფიქსირა თავისი დადებითი მოსაზრება შეფასებების გადადების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. იგივე შეფასება გააკეთა მერაბ გაბინაშვილმა, კანდიდატების ერთმანეთთან შედარების აუცილებლობიდან გამომდინარე. იგი დაეთანხმა, ასევე, უჩა ნანუაშვილის მოსაზრებას, რომ ჩანაწერი „გასაუბრების დღესვე" გულისხმობს, ზოგადად, გასაუბრებების დასრულებისთანავე შეფასებას. მზია თოდუამაც დააფიქსირა ნორმის შინაარსობრივად განმარტების საჭიროება.

ზვიად კორძაძემ აღნიშნა, რომ კანდიდატების მიერ მიღებული შედეგების მიხედვით სიები უნდა გაიყოს გენდერული კვოტით და თუ კომისიას სრული სურათი არ ექნება, გენდერულ ჭრილში სიების გაკეთება შეუძლებელი იქნება.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, თუ ვინ იყო მომხრე, რომ ქულები ორდღიანი გასაუბრებების შედეგად დაიწეროს ერთიანად, 28 მაისს, გასაუბრების დასრულების შემდეგ.

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ყველა წევრმა, გარდა თეა წულუკიანისა, შალვა თადუმაძისა და მამუკა ვასაძისა.

შესაბამისად, კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შეთანხმდა გასაუბრებების ქულების 28 მაისს, ყველა გასაუბრების დასრულების შემდეგ, დაწერა. ამის შემდეგ კომისიამ მუშაობა დროებით შეაჩერა 28 მაისამდე.

კომისიის სხდომა განახლდა 28 მაისს, 9:33 სთ-ზე.

სხდომის გახსნისას კომისიის თავმჯდომარემ წევრებს კიდევ ერთხელ განუმარტა მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული პროცედურები და მიაწოდა ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპის შესახებ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დარეგისტრირებულ ჟურნალისტებს ამ დღესაც შეეთავაზათ, კონკურსანტების თანხმობის შემთხვევაში, გასაუბრებებზე დასწრება, თუმცა, მათ ისევ არჩიეს დარბაზის გარეთ მუშაობა და გასაუბრებებს ისევ მხოლოდ „ნეტგაზეთის" წარმომადგენელი დაესწრება.

28 მაისისათვის, კანდიდატებთან შეთანხმებით, გასაუბრების განრიგი განსაზღვრული იყო შემდეგი სახით:

1. ალანია თამარ – 09:30 სთ;
2. ჯაფარიძე სოფიო – 10:10 სთ;
3. გეწაძე შოთა – 10:50 სთ;
4. ხითარიშვილი ლუიზა – 11:30 სთ;
5. ბაჩიაშვილი იოსებ – 12:10 სთ;
6. სვანიძე ერიკ – 12:50 სთ;
   13:30 – 14:30 – შესვენება
7. მესხორაძე ლევან – 14:30 სთ;
8. ჭანტურია ლადო – 15:10 სთ;
9. გაბისონია თამარ – 15:50 სთ;
10. ვარძელაშვილი კონსტანტინე – 16:30 სთ;
11. კვირიკაშვილი მაია – 17:10 სთ;
12. მესხიშვილი ქეთევან – 17:50 სთ.

კომისიის წინაშე პირველ კანდიდატად 9:38 სთ–ზე წარდგა თამარ ალანია (აუდიოფაილი №12).

კანდიდატის თანხმობით, გასაუბრებას ესწრებოდა „ნეტგაზეთის" წარმომადგენელი, ქალბატონი ქეთევან მაჭავარიანი.

იმავე პირობებში ჩატარდა გასაუბრება შემდეგ კანდიდატ სოფიო ჯაფარიძესთან, რომელიც დაიწყო 10:41 სთ-ზე (აუდიოფაილი №13).

მომდევნო კანდიდატებმა – შოთა გეწაძემ (გასაუბრება დაიწყო 11:25 სთ-ზე), ლუიზა ხითარიშვილმა (გასაუბრება დაიწყო 12:26 სთ-ზე) და იოსებ ბაჩიაშვილმა (გასაუბრება დაიწყო 13:10 სთ-ზე) (აუდიოფაილები №№14-16) უარი განაცხადეს ჟურნალისტის დასწრებაზე.

თამარ ალანიასთან, სოფიო ჯაფარიძესთან, შოთა გეწაძესა და ლუიზა ხითარიშვილთან გასაუბრებებს კოალიციიდან „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" ანა ნაცვლიშვილის ნაცვლად ესწრებოდა გიორგი ბურჯანაძე.

შესვენების გამოცხადებამდე ბოლო კანდიდატად 13:53 სთ-დან საბჭოს წინაშე წარდგა ერიკ სვანიძე (აუდიოფაილი №17), რომლის თანხმობითაც, „ნეტგაზეთის" წარმომადგენელი ესწრებოდა გასაუბრებას.

გასაუბრებების პირველი ნახევარი დასრულდა 14:33 სთ-ზე და გამოცხადდა შესვენება 15:10 სთ-მდე.

შესვენების შემდეგ კომისიის წინაშე 15:14 სთ-ზე პირველ კანდიდატად წარდგა ლევან მესხორაძე (აუდიოფაილი №18), რომელთან გასაუბრების დასრულების შემდეგაც 15:48 სთ-დან კომისია გაესაუბრა ლადო ჭანტურიას (აუდიოფაილი№19). აღნიშნული კანდიდატების უარიდან გამომდინარე, ჟურნალისტი არ დასწრებია გასაუბრების პროცესს.

კომისიის წინაშე რიგრიგობით 17:02 სთ-ზე, 17:46 სთ-ზე, 19:04 სთ-სა და 19:54 სთ-ზე წარდგნენ, ასევე, თამარ გაბისონია, კონსტანტინე ვარძელაშვილი, მაია კვირიკაშვილი და ქეთევან მესხიშვილი (აუდიოფაილები №№20-23).

მათი თანხმობის გათვალისწინებით, კანდიდატებთან კომისიის გასაუბრებას ესწრებოდა „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელი.

კომისიამ კანდიდატებთან გასაუბრებები დაასრულა 20:51 სთ-ზე.

გასაუბრებების დასრულების შემდეგ კომისიის წევრებმა სამდივნოს გადასცეს მათ მიერ ინდივიდუალურად შევსებული ფორმულარები მათში თითოეული კანდიდატისათვის მიკუთვნებული ქულის აღნიშვნით. სამდივნომ დააჯამა ინდივიდუალური ქულები კომისიის 10 წევრის თანდასწრებით. დაჯამებული ქულები გაიყო 13-ზე, კომისიის წევრების რაოდენობის შესაბამისად, და გამოყვანილ იქნა თითოეული კანდიდატისათვის საშუალო ჯამური ქულები. აღნიშნული ქულების კლებადობის მიხედვით, დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, და ევროსაბჭოს სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით, სამდივნომ კანდიდატთა სქესის მიხედვით შეადგინა და კომისიის წევრებს წარუდგინა კანდიდატთა 2 სია:

1. სოფიო ჯაფარიძე – 4,69 ქულა;
2. თამარ ალანია – 3,77 ქულა;
3. ნინო ბაქაქური – 2,62 ქულა;
4. ქეთევან მესხიშვილი –2,54 ქულა;
5. თამარ ალექსიძე –2,08 ქულა;
6. ვერა დობორჯგინიძე – 2,08 ქულა;
7. მაია კვირიკაშვილი – 1,92 ქულა;
8. თამარ გაბისონია – 1,85 ქულა;
9. რუსუდან კემულარია –1,69 ქულა;
10. ლუიზა ხითარიშვილი –1,31 ქულა;
11. ნატალია გელაძე – 1 ქულა;

და

1. ლადო ჭანტურია – 5 ქულა;
2. შოთა გეწაძე –3,85 ქულა;
3. ირაკლი დონდოლაძე – 3,69 ქულა;
4. იოსებ ბაჩიაშვილი – 3,46 ქულა;
5. კონსტანტინე კორკელია – 3,08 ქულა;
6. ლევან მესხორაძე – 2,46 ქულა;
7. დავით ჯანდიერი – 2,38 ქულა;
8. ბესარიონ ბოხაშვილი – 2,31 ქულა;
9. კონსტანტინე ვარძელაშვილი –2,08 ქულა;
10. ერიკ სვანიძე – 2 ქულა;
11. ირაკლი ადეიშვილი –1,69 ქულა;
12. ნიკოლოზ ლეგაშვილი – 1,69 ქულა.

კომისიის სამდივნომ, კანდიდატთა სქესის მიხედვით შედგენილი 2 სიიდან საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატების დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად გამიყოფის მეშვეობით შეადგინა და კომისიის დამსწრე წევრებს გააცნო 5 კანდიდატისაგან შემდგარი სია:

1. ლადო ჭანტურია – 5 ქულა;

2. სოფიო ჯაფარიძე – 4.69 ქულა;

3. შოთა გეწაძე – 3.85 ქულა;

4. თამარ ალანია – 3.77 ქულა;

5. ირაკლი დონდოლაძე – 3.69 ქულა.

კომისიამ მუშაობა დაასრულა 28 თებერვალს, 21:40 სთ-ზე.

საშუალო ჯამური ქულების შესახებ იმავე საღამოს გამოქვეყნებულ იქნა ინფორმაცია პრესისათვის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი

თეა წულუკიანი

კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

სალომე ფრუიძე